

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №13/14, 27.11.2018

სენატის თავჯდომარე, რექტორი, პროფესორი

_____ მარაბიძე



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო
პროცესის მარეგულირებელი წესი

ND 2-F03

შეთანხმებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსი _____ ლ.ჯაყელი

შემუშავებულია:

პროფესიული მომზადების ცენტრის

უფროსის მოადგილე _____ ი. ინჯვირველი



შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 1. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა	
მუხლი 2. ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები.	3
მუხლი 3. რეგულირების სფერო	5
თავი II. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება	5
მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება	
მუხლი 5. პროფესიული ტესტირება	6
მუხლი 6. პროფესიული ტესტირების სამართლებრივი შედეგები	6
მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა	8
მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა	9
მუხლი 9. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა	9
მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობა და მიღებული განათლების აღიარება	10
მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის განათლებით შემდგომი უზრუნველყოფა	12
მუხლი 12. კვალიფიკაციის მინიჭება, საკვალიფიკაციო კომისის, პროფესიული დიპლომის გაცემა	13
მუხლი 13. პროფესიული განათლების მასწავლებელი	13
მუხლი 14. დებულების მიღების წესი	14
მუხლი 15. გავრცელების არე	15

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს პროფესიული დიპლომის არქონის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია ან აღიარებული ვერსიონი. რევიზია ასევე დატანა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელის, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაივლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bmsa.edu.ge



1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა

1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;
3. “უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების-დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანება;
4. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანება;
5. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება;
6. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
7. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
8. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
9. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2-Q05-03;

მუხლი 2. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

1. **კრედიტი** - ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად; წარმოადგენს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა (დატვირთვა);
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს პროფესიული დოკუმენტის ანგარიში ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „აღრიცხული ვერსიის“ რევიზიატი ასლზე დაიტანა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებელს არ ღებმს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევაც აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, ასევე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისა და პროგრამის განხორციელების წინაპირობები;
4. **მოდული** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;
5. **პროფესიული სტანდარტი** – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);
6. **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროფესიული ტესტირებით ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე და სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე. პირი, რომელიც სწავლობს;
7. **პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო** – ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების შესაბამისი ყველა კვალიფიკაცია;
8. **პროფესიული კვალიფიკაცია** - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის მიერ პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით -დიპლომით.
9. **BTEC (Business and Technology Education Council) კვალიფიკაცია** - კვალიფიკაცია, რომელიც მიენიჭება პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი საფეხურის გავლის შემდეგ Pearson Education Limited- ის მიერ.

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის ანგარიში ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი აღრიცხული ვებ-პორტალი. რევიზიატი ასლზე დაიტანება პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელე. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.btsma.edu.ge



10. პროფესიული მომზადების ცენტრი - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
11. აპლიკანტი - პირი, რომელიც აკეთებს განაცხადს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
12. სენატი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კოლეგიური წარმომადგენლობითი და მართვის ორგანო.

შემოკლებები

1. ND – ნორმატიული დოკუმენტი;
2. საზღვაო აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
3. სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

მუხლი 3. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში – საზღვაო აკადემია) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება

1. საზღვაო აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამის პროგრამაზე სტუდენტთა კვოტის ფარგლებში.
2. აკადემიის სენატი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ საგანმანათლებლო

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის ანგარიში ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „აღრიცხული ვერსიის“ რევიზიატი ახლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიბვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ, რის საფუძველზეც აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსდება ინფორმაცია:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური;
- ბ) მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით;
- გ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ვადების შესახებ;
- დ) პროფესიული ტესტირების ვადების შესახებ;
- ე) ჩარიცხვის პირობების შესახებ;
- ვ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადების შესახებ;
- ზ) საკონტაქტო ინფორმაცია.

3. აპლიკანტთა დაინტერესების შემთხვევაში პროფესიული მომზადების ცენტრს შეუძლია აკადემიის ადმინისტრაციიდან მოითხოვოს აპლიკანტებისთვის, მისაღები ტესტირების წარმატებით გასავლელად, კონსულტაციების ჩატარება და ამ მიზნით მოიწვიოს კომპეტენტური პირები.

მუხლი 5. პროფესიული ტესტირება

1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, საზღვაო აკადემიაში პროფესიულ პროგრამებზე განათლების მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ზოგადი განათლების საბაზო/სრული საფეხურის დასრულების შემდეგ;
2. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობით, მოქმედ რესურსცენტრებში, საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სასწავლო დაწესებულებებში. აპლიკანტებს ეძლევათ შესაძლებლობა რეგისტრაცია გაიარონ ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე www.vet.emis.ge.
3. რეგისტრაციის გავლის შემდეგ კანდიდატმა უნდა გაიაროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება;
4. პროფესიული ტესტირების გავლის შემდეგ კომპეტენციების მინიმალური ზღვარის გადალახვის და კონკურსის დროს გამარჯვების შემთხვევაში პირი მოიპოვებს სასურველ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას;
5. ტესტირების შესახებ სრული ინფორმაცია აპლიკანტს შეუძლია იხილოს ვებ-გვერდზე www.naec.ge.

მუხლი 6. ტესტირების სამართლებრივი შედეგები

1. „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის არეორი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი აღრიცხული ვებ-გვერდი. რევიზიატი ასლზე დაიტანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მთავრობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონფორმანტი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ ღებმს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლერისასი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- №152/ნ ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, ტესტირების შედეგების საფუძველზე, გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე.
- რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ბაზაში აპლიკანტთა ასახვა სტატუსით „ჩასარიცხი“;
 - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - განცხადება;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
 - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად;
 - ორი ცალი ფოტოსურათი 3X4 და ელექტრონულ მატარებელზე;
 - პროგრამის სტანდარტის მოთხოვნის შესამაბისი ჯანმრთელობის ცნობა;
 - ცნობა ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ;
 - ცნობა ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ.
 - ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცესების შემდეგ პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საზღვაო აკადემიის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს პროფესიულ სტუდენტთა შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
 - ჩარიცხვის შემდეგ საზღვაო აკადემიასა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.
 - არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი.
 - ხელშეკრულება ფორმდება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში-მეურვეს), მეორე რჩება საზღვაო აკადემიაში.
 - იმ შემთხვევაში როცა პროფესიული სტუდენტი არასრულწლოვანია, ხელშეკრულებას უნდა დაერთოს მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი.
 - ხელშეკრულება მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადის განმავლობაში.
 - ხელშეკრულება ითვლება შეჩერებულად პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში.
 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას რაც თავის მხრივ იწვევს მხარეების მხრიდან იმ ვალდებულებების შეუსრულებლობას, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის ავტომატიზაცია ანუ ის არ აქვს რევიზია ანუ იგი არ არის რევიზიის საგანი. რევიზია ახლავს დოკუმენტს პროფესიული სასწავლო უნივერსიტეტის პირის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაავტორიზებული“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bmsa.edu



შეწყვეტამდე.

12. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ვებგვერდზე <https://evet.emis.ge/> სტატუსით „სტუდენტი“ აისახება პროფესიული სტუდენტების რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

1. პროფესიული სტუდენტის შეფასება ორი სახისაა: განმავითარებელი და განმსაზღვრელი, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

2. სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად, მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნებიდან გამომდინარე. შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი.

3. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე, თუკი ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას.

4. პროფესიული სტუდენტის/ სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილი პირის (აკადემიის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში) მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აითვისოს წინმსწრები მოდული მომდევნო მოდულის დაწყებამდე, ან აითვისოს ორივე მოდული (წინმსწრები და მომდევნო) პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების ათვისების შემდეგ მომდევნო ჯგუფთან, შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში.

5. შეფასების მიმართულება და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია ცალკეულ მოდულში.

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის არეორთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის ადრეობის ვებ-მისამართი. რევიზიის ასლზე დაიტანება პროფესორის პასუხისმგებელი პირის მოხელის ხელმოწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციას განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების, მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლების თაობაზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველის გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:
 - ა) ხანგრძლივი ავადმყოფობა;
 - ბ) უცხო ქვეყანაში ხანგრძლივი დროით გამგზავრება;
 - გ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
 - დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
 - ე) მოქმედი კანონმდებლობით, საზღვაო აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება დასაშვებია 5 წლის ვადით;
4. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის აღდგენა შესაძლებელია მისი განცხადების საფუძველზე იგივე პროგრამაზე, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში ვრცელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლი.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:
 - ა) პროფესიული სტუდენტის მიერ მეცადინეობების სისტემატური (პროგრამის ხანგრძლივობის მესამედი) გაცდენა;
 - ბ) პროგრამით გათვალისწინებული მოდულების არ დაძლევა;
 - გ) პირადი განცხადება;
 - დ) გარდაცვალება;
 - ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებისას, რომელსაც ითვალისწინებს საზღვაო აკადემიის წესდება და შინაგანაწესი;
 - ვ) მოქმედი კანონმდებლობით, საზღვაო აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხორციელდება საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის არეორთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი აღრიცხული ვებ-პორტალი. რევიზიატი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობა (გარე მობილობა და შიდა მობილობა) და მიღებული განათლების აღიარება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნებისმიერ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობის უფლებით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
2. პროფესიულ სტუდენტთა გარე მობილობა გულისხმობს სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის უფლებას ამ პროცედურით დადგენილი წესით სწავლა გააგრძელოს აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ან აკადემიის პროფესიული სტუდენტის უფლებას სწავლის გასაგრძელებლად გადავიდეს სხვა ავტორიზებულ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში.
3. შიდა მობილობა გულისხმობს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლას. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მობილობა (შიდა და გარე მობილობა) შეიძლება განხორციელდეს საგაზაფხულო ან საშემოდგომო მიღებების დროს, პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართებრივი აქტით.
5. აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის განხორციელება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში. პროფესიულ სტუდენტს განცხადების შემოსატანად ეძლევა 10-15 დღიანი ვადა.
6. პროფესიულ პროგრამებზე მობილობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება აკადემიის ვებ-გვერდზე და საჭიროების შემთხვევაში სხვა საინფორმაციო საშუალებებით.
7. პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი მობილობის გამოცხადების მოთხოვნის შესახებ მოხსენებით ბარათს ამზადებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული ქვოტიდან თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იღებს სენატი.
8. მობილობის მსურველმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მე-5

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის ავტორით ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღნიშვნა "დოკუმენტი ვებ-გვერდზე". რევიზიის ასლზე დაიტანება პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხიბვნი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ ეღობ. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები, ასევე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტების მოცულობას (კრ/სთ) და ათვისებულ მოდულებს/შედეგებს.

9. საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის წერილობითი, მოტივირებული გადაწყვეტილებით, სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შესაბამისობის დადგენის შემდეგ.

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო კომისია ადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ იმავე ან იმავე მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

11. აკადემიური შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილებაში-შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში მითითებული უნდა იყოს შესაბამისობები და შეუსაბამობები საზღვაო აკადემიის იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც გადაყვანის წესით ჩარიცხვის მსურველს, რეგისტრირებულ პირს სურს სწავლის გაგრძელება.

12. მობილობის მსურველი პირისათვის კრედიტების აღიარება ხდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანების შესაბამისად.

13. წინამდებარე პროცედურის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები ინახება პროფესიული მომზადების ცენტრის მიერ წარმოებულ პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში.

14. მობილობის მსურველ პირთა კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კრედიტების აღიარების დოკუმენტების შედეგების მიხედვით იმ პროფესიულ სტუდენტს, რომლის მიერ განვლილი და ათვისებული კრედიტები მეტია.

15. სტუდენტთა მობილობის შესახებ ბრძანება გამოიცემა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მიერ.

16. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

17. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის ანგარიში ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღიარებული ვებ-მისამართი. რევიზიის ასლზე დაიტანება პროფესორ-პასუხისმგებელი პირის მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არააქტიური“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



18. შიდა მობილობით სარგებლობა შესაძლებელია არაუგვიანეს პირველადი ჩარიცხვების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის განათლებით შემდგომი უზრუნველყოფა

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში საზღვაო აკადემიის შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შემდეგი არჩევანის საშუალება:

ა) პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებულ პროგრამაზე;
ბ) პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, მოდიფიცირებულ ან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტს კრედიტები უღიარდება მე-10 მუხლის შესაბამისად.

3. თუ საზღვაო აკადემიაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე, აკადემია ვალდებულია პროგრამის ფარგლებში კრედიტების აღიარების თაობაზე გააფორმოს ხელშეკრულება სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს გაუქმებულ ან მასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამას და სადაც შესაძლებელია გადავიდეს შეცვლილი/გაუქმებული პროგრამის სტუდენტი მობილობის წესით.

4. საზღვაო აკადემია პარტნიორ უნივერსიტეტებთან ან კოლეჯებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უზრუნველყოფს ვადამდე შეწყვეტილი/შეჩერებული პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელებას.

5. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებობის შემთხვევაში ან სწავლა განაგრძოს შეცვლილი/გაუქმებული პროგრამიდან მისთვის სასურველ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის არეორთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღიარებული ვერსიონი. რევიზიის ასლზე დაიტანება პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელის ნაწილობრივ შეზღვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ ექვს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 12. კვალიფიკაციის მინიჭება; საკვალიფიკაციო კომისია, პროფესიული დიპლომის გაცემა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შედეგებით, პროფესიული საკვალიფიკაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე.
2. პროფესიული საკვალიფიკაციო კომისიის სხდომები ფორმდება ოქმის სახით, რომლებიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტსა და კანცელარიას.
3. მუდმივმოქმედი პროფესიული საკვალიფიკაციო კომისია (Vocational Qualifikation Committee) იქმნება საზღვაო აკადემიის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
4. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
5. მუდმივმოქმედი პროფესიული საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან:
 - ა) პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი;
 - ბ) პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოადგილე;
 - გ) ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
 - დ) პროფესიული მომზადების ცენტრის მთავარი სპეციალისტი;
 - ე) მისანიჭებელი კვალიფიკაციებიდან გამომდინარე კომისიის შემადგენლობაში მოწვეულნი არიან მოდულის განმახორციელებელი პირი/ები და საჭიროების შემთხვევაში დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენელი/ები.
6. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი საფეხურის პროფესიული დიპლომი.
7. გარდა შესაბამისი პროფესიული დიპლომისა, იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ Pearson Educational Limited-ის მიერ აღიარებულ პროგრამებზე, პროგრამების წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა BTEC-ის სერტიფიკატი.

მუხლი 13. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი წარმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამისა და

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს პროფესიული დიპლომის დაცვის მიზნით. თუ ეს არ არის რევიზია ადგილობრივი კანონმდებელი ორგანოს მიერ. რევიზია ასევე დაატანა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



სასწავლო კურსის პროგრამების შემუშავებაში.

2. პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. საზღვაო აკადემიაში 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.
4. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნორმატიული დოკუმენტის ND 2-004-06 – “მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის წესი”-ს შესაბამისად.
5. შრომითი ხელშეკრულებები/დანაშინის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები მოწვეულ მასწავლებლებთან ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დებულების მიღებისა და დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის წესი

1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში მოდულური პროგრამების) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მტკიცდება საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების დებულების შემუშავების ინსტრუქციის“ ND 2-Q05-04 შესაბამისად.
3. ცვლილების ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, რექტორის მოადგილეები ან/და სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული მომზადების ცენტრი და იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.
4. დებულება და მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება ხდება სენატის მიერ.

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის არაერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „აღრიცხული ვერსიის“ რევიზიატი ახლზე დაიტანა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელე. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 15. გავრცელების არე

1. წინამდებარე დოკუმენტის ორიგინალი და საკონტროლო ეგზემპლიარები ინახება სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროფესიული მომზადების ცენტრში.
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge-ზე.
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დაკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით.

ND 2-F03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 27.11.2018

მოქმედებაშია 27.11.2018

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის არეგირი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული ეგზემპლარი. რევიზიის ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მთავიანი, წინააღმდეგ შეზღვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge